



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №8/17

2017 წლის 30 მარტი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 126,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3177,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 4030,4 ათ. ლარი, ე.ი. 852,9 ათ. ლარით მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 2203,2 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 35,3 პროცენტი.

1. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 127,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3128,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3990,7 ათ. ლარი, ე.ი. 862,3 ათ. ლარით მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 2062,5 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 34,1 პროცენტი. მათ შორის:

ა) გადასახადებიდან გეგმა შესრულდა 106,8 პროცენტით, გეგმიური 2628,8 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 2807,4 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 178,6 ათ. ლარით მეტი;

ბ) გრანტებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 12,1 - ჯერ მეტად, გეგმიური 64,6 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 782,2 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 717,6 ათ. ლარით მეტი;

გ) სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 92,2 პროცენტით, გეგმიური 435,0 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 401,1 ათ. ლარის შემოსავლები, 33,9 ათ. ლარით ნაკლები.

2. არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 80,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 49,1 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 39,7 ათ. ლარი, ე.ი. 9,4 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 140,7 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 78,0 პროცენტი.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებას (გადასახდელები), საანგარიშო პერიოდში გეგმა შესრულებულია 150,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3177,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 4769,2 ათ. ლარი, ე.ი. 1591,7 ათ. ლარით მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1592,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 25,0 პროცენტი, მათ შორის:

1. სულ გადასახდელების (ხარჯები და არაფინანსური აქტივები) გეგმა შესრულებულია 150,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3146,2 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 4739,9 ათ. ლარი, ე.ი. 1593,7 ათ. ლარით მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1584,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 25,0 პროცენტი.

2. ვალდებულებების კლების (საშინაო სესხები) სფეროს გადასახდელების გეგმა შესრულებულია 93,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 31,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 29,3 ათ. ლარი, ე.ი. 2,0 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 8,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 21,4 პროცენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა საკითხი: „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“. საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საბიუჯეტო კლასიფიკაციის ზოგიერთი მუხლის სრულად დაუფინანსებლობის გამო 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ - სპეციალისტების მიერ შესწავლილი საკითხი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტები მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი.კაკულია) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის და გაწეული მუშაობის შესახებ აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის წლის 25 აპრილამდე.

მუხლი 3.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

მუხლი 4.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (პაატა ჩაგანავა).

მუხლი 5.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

მუხლი 6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

